USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში: გამოწვევები და შესაძლებლობები

თემატური სამუშაო ჯგუფი:

ახალგაზრდების როლი საგარეო პოლიტიკაში

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო თემატური ჯგუფის – "ახალგაზრდების როლი საგარეო პოლიტიკაში" მიერ. პროექტი ხორციელდება საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

სამუშაო თემატური ჯგუფის წევრები: ბექა ბურჭულაძე, სოფო გაბელაია, ნიკა ჯუშოშვილი, თინათინ გოგატიშვილი, სოფო საათაშვილი, თორნიკე კაკალაშვილი

ჯგუფის მენტორი: ლევან ცუცქირიძე

რედაქტორი: მაკა თეთრაძე

სარჩევი

მოკლე შინაარსი..... 4

შესავალი..... 5

მეთოდოლოგია..... 6

თავი I – ახალგაზრდების როლი საგარეო პოლიტიკაში:..... 7
არსებული მიდგომები და პრაქტიკა

ახალგაზრდების როლი და მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკაში..... 7

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიისა და საახელმწიფო..... 8
ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

თავი II – ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის კარგი მაგალითები... 10

ლევან მიქელაძის სახელობის ინსტიტუტი.....10

სახელმწიფო პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“..... 11

თავი III საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის 13
დამაბრკოლებელი გარემოებები

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის ბარიერები და გამოწვევები..... 13

სტაჟირების არაეფექტიანი პროგრამა..... 15

დასკვნა..... 17

რეკომენდაციები..... 18

გამოყენებული ლიტერატურა..... 20

მოკლე შინაარსი

პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის როლი, მნიშვნელობა, გამოწვევები და პერსპექტივები. საკითხი შესწავლილია საქართველოში არსებული რეალობის მოკვლევის, პრობლემების გამოაშკარავების და პერსპექტივების გამოვლენის საშუალებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა გამოწვევები, რომელთა წინაშეც ახალგაზრდები ხშირად დგებიან საგარეო პოლიტიკის მიმართულებით პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვისას. ყველაზე შესამჩნევია განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც პირდაპირ აისახება მათ საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის ხარისხზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობას მუდმივად შეუწყოს ხელი, აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია, რათა მეტად დაანტერესოს ისინი მიმდინარე საგარეო თუ ადგილობრივი მოვლენებითა და ღონისძიებებით; შექმნას და დააფინანსოს პროექტები, რომლებიც გათვლილი იქნება ახალგაზრდების ჩართულობაზე, თუმცა, მანამდე აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის იდენტიფიცირება და მათთან გამკლავება. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში თავდაპირველად გამოკვლეული და გაანალიზებულია ახალგაზრდების როლი და მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკაში, ასევე, განხილულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგია და სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები. შემდეგ განხილულია ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის კარგი მაგალითები, გაანალიზებულია ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის ბარიერები და გამოწვევები, ხოლო ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები გამოკვეთილი პრობლემების გამო შესაძლო ზიანის შესამცირებლად.

შესავალი

ახალგაზრდა თაობის როლი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახალგაზრდები არიან ცვლილებების კატალიზატორები და ამ პროცესის მთავარი მოთამაშეები. ისინი ჩართულები არიან ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესში და მონაწილეობენ საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნა-განვითარებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა და წახალისება, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ მათი აქტიურობით შესაძლებელია ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლა, რაც გულისხმობს ცვლილებებს, როგორც დემოკრატიული, ასევე _ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისითაც. ამ პროცესში ახალგაზრდების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა დონეზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია (ფონდი, 2020).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში 2018 წელს პირველად გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის ამ მიმართულებით ჩართულობის აუცილებლობას და მხარდაჭერას (მთავრობა, 2019). მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების საკითხი სტრატეგიულ ამოცანად არის განსაზღვრული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში, რადგან ისინი საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ჩართული ერთ-ერთი პრიორიტეტული სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. ამისთვის საჭიროა ახალგაზრდებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი უფრო ინტენსიური ჩართულობის ხელშეწყობა აღნიშნულ პროცესებში.

საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის დაბალი დონე და პოლიტიკურ მონაწილეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ სფეროში დასაქმების ნაკლები პერსპექტივით და, შესაძლებლობებით, ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში, რადგან პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა დაბალია. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს შორის პოლიტიკა „ბინძურ საქმედ“ მიიჩნევა (დევსურაშვილი, 2017). ასევე, დღეს არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ადეკვატურად არ აღიქვამს დაინტერესებული ჯგუფის ინტერესებს (სააგენტო, 2020)

აშკარაა, რომ საჭიროა საგარეო პოლიტიკური პროცესებით ახალგაზრდების დაინტერესებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდა. ამაში მნიშვნელოვანი როლის შეტანა შეუძლია ხელისუფლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ახალგაზრდობის საგარეო პოლიტიკაში ჩართულობა, გამოიკვლიოს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდების მონაწილეობას საგარეო პოლიტიკაში, როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ისე აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დროს. მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევა და შინაარსის ანალიზი.

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობა წარმოგვიდგენია შემდეგნაირად:

1 ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებში, მაგალითად, როგორიცაა: 2ახალგაზრდა ელჩების პროგრამა.“

2 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟირების პროგრამის გავლით, რათა ახალგაზრდებმა შეიძინონ პრაქტიკული ცოდნა და, ამასთანავე, ჰქონდეთ ადგილზე დასაქმების საშუალება.

3 ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკით დაინტერესებით და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებით.

- სამაგიდე კვლევისას შესწავლილი იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დღემდე ჩატარებული კვლევები, რომლებიც საქართ-ველოში ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის მხრივ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ეხება. მაგალითად: ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევები (ფონდი ფ. ე., 2017), ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში (UNICEF, 2014).

- კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო-ინსტიტუციური გარემო. კვლევის ეს ეტაპი მოიცავდა საქართველოს საგარეო სტრატეგიისა და სახელმწიფო ახალგაზდული პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსის ანალიზს.

- შესწავლილი იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟირების და „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ პროგრამები, რომლებიც შეიძლება საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის კარგ პრაქტიკად მივიჩნიოთ.

ახალგაზრდების როლი საგარეო პოლიტიკაში: არსებული მიდგომები და პრაქტიკები

ახალგაზრდების როლი და მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკაში

მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 16%-ს ახალგაზრდები შეადგენენ და ვარაუდობენ, რომ ეს წილი ძალიან მალე კიდევ უფრო გაიზრდება (Worldometer, 2020) ახალგაზრდები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები.

საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ ახალგაზრდების ჩართულობასა და აქტიურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან გრძელვადიანი პერსპექტივით სწორედ ახალგაზრდების მისაღებია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური გადაწყვეტილებები. ახალგაზრდობის განვითარება და ახალგაზრდობის ჩართულობა 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში უმთავრეს საკითხებს შორისაა. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 2250 (2015) (UN, 2015) და 2419 (UN, Increasing Role of Youth in Negotiating, Implementing Peace Agreements, , 2018) (2018) აღიარებს, რომ ახალგაზრდები თამაშობენ მნიშვნელოვან და დადებით როლს მდგრადი განვითარების რეალიზებაში, კრიზისების პრევენციასა და მშვიდობის დამყარებაში. გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია (UN, UN Youth Strategy 2030, 2018) არის პირველი მცდელობა ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერე-ბისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს გაეროს გზავნილს, რომ ისინი არიან „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივი, რომელშიც ინვესტირება ღირს.“

გაერო ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას უფლებამოსილი პირების მხრიდან ახალგაზრდების მიმართ. სტრატეგია იყენებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ, გენდერულ, ტრანსფორმაციულ, სენსიტიურ და რეაგირების მიდგომას.

რეალიზებულია თითოეული მოზარდის უფლებები; რაც უზრუნველყოფს ყოველი ახალგაზრდის სრული პოტენციალი გამოიყენებას; აღიარებს ახალგაზრდების, როგორც ცვლილებების აგენტების, გამძლეობასა და პოზიტიურ წვლილს. სტრატეგია გამოყოფს ახალგაზრდობის როლს გლობალური მდგრადობის დღის წესრიგში სამი ძირითადი საყრდენის მეშვეობით: მშვიდობა და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები და მდგრადი განვითარება. სტრატეგიის ძირითადი მიზანია ერთობლივი ინიციატივებისა და ეფექტური პრაქტიკის დანერგვა.იგი ასევე ასახავს გაეროს უნიკალურ პოზიციას, გამოწვევასა და მხარდაჭერას სახელმწიფოებისთვის ახალგაზრდების დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და მხარს უჭერს პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მათი „საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი ხმის გაძლიერება და მათი ჩართულობის გაზრდა“.

ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით 2016 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ჩაატარა მნიშვნელოვანი კვლევა „თაობა გარდამავალ პერიოდში“. მიუხედავად იმისა, რომ 6 წლის წინ ჩატარდა ეს კვლევა და შეიძლება, მცირეოდენი ცვლილება იყოს ამ კუთხით, მთლიანობაში ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის მხრივ, არაფერი შეცვლილა.

კვლევის ფარგლებში, გაანალიზებული იყო ახალგაზრდებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: განათლება, ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზე, პრობლემები და მისწრაფებები. კვლევის ფარგლებში შეისწავლეს ახალგაზრდების დამოკიდებულებები პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესების მიმართ. ასევე, მათი პოლიტიკაში ჩართულობა და სამოქალაქო აქტივიზმის დონე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველ ახალგაზრდებს, ზოგადად, პოლიტიკის და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, ისინი პოლიტიკურ პროცესებში, ფაქტობრივად, არ ერთვებიან და ცდილობენ მაქსიმალურ დისტანცირებას. ებერტის კვლევა ადასტურებს, ახალგაზრდების პოლიტიკური ინდიფერენტულობის უკიდურესად მაღალ დონეს. ქართველი ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით და პოლიტიკოსების და ცალკეული ინსტიტუციების მიმართ, ძირითადად, ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. მათი თვალსაზრისით, პოლიტიკა ბინძური საქმეა და პოლიტიკაში ჩართული ხალხი მხოლოდ საკუთარ ინტერესზე ზრუნავს (ფონდი ფ. ე., თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდების კვლევა 2016, 2017) შესაბამისად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, რადგან, გრძელვადიან პერსპექტივაში, სწორედ ახალგაზრდების მისაღებია მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური, გადაწვეტილებები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიისა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

გავაანალიზოთ საქართველოში არსებული სამთავრობო სტრატეგიული მიდგომები და პრიორიტეტები ახალგაზრდების მხარდაჭერის კუთხით, რა შესაძლებლობები და გამოწვევებია და როგორია ქვეყანაში არსებული რეალობა.

2018 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის №528 დადგენილების თანახმად დამტკიცდა 22019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია“ (მთავრობა, 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ეროვნული დონის დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათი განხორციელების გზებსა და მექანიზმებს. დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის კულტურული დიპლომატიის განვითარების ქოლგის ქვეშ ახალგაზრდების მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, რაც გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერას, რათა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეეწყოს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას. დოკუმენტის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება თანამშრომლობის გაღრმავებას პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნით ახალგაზრდების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო სფეროებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნის მიმართულებით. ამ დოკუმენტის ერთ-ერთ სტრატეგიულ

ამოცანად განხილულია აშშ–ის პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებისა და აშშ–ის საზოგადოებაში ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, აშშ–ში ქართულ დიასპორასა და ახალგაზრდულ გაერთიანებებთან აქტიური თანამშრომლობა. (მთავრობა, 2019–2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019)

მნიშვნელოვანია, რომ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში პირველად მოხდა ჩანაწერის გაკეთება, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის ჩართულობის აუცილებლობას და მხარდაჭერას საგარეო პოლიტიკაში. მანამდე საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში არა თუ ჩანაწერი, არამედ ნახსენებიც კი არ იყო ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შინაარსი ახალგაზრდების როლის ჩართულობის მხრივ მისასალმებელია,თუმცა მათი პრაქტიკულად განხორციელებისთვის სახელმწიფოს არ წარმოუდგენია კონკრეტული აქტივობები, გარდა პროგრამისა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, რომელიც მნიშვნელოვანი ინიციატივაა, თუმცა მისი მასშტაბები არ შეესაბამება ქვეყნის გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებს, რადგან საჭიროა მეტი ახალგაზრდის ჩართვა ამ პროცესებში.

2019–2022 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში გაიწერა მთავრობის სახელმძღვანელოს ამოცანები, რაც არ ასახავს იმ კონკრეტული აქტივობების, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს აქტიურად ჩაერთონ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

2021 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (მთავრობა, სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, 2021), სადაც სახელმწიფომ მიზნად დაისახა ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით:

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების სრულ–ფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;

ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით.

მთავრობის სამოქმედო გეგმაში საუბარია, რომ გაფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით, რაც მისასალმებელი ინიციატივაა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლამდე მოქმედი გეგმა არ ითვალისწინებდა ახალგაზრდული პოლიტიკის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისა და აღსრულების მექანიზმებს. მაგალითად, 2020 წელს შემუშავებულ „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020–2030“–ში (პარლამენტი, 2020) საუბარი იყო მხოლოდ შემდეგ სტრატეგიული პრიორიტეტებზე: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობაზე, ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებასა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფაზე.

საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში ახალგაზრდების მეტად ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ წარმოადგინოს კონკრეტული აქტივობები, რაც გულისხმობს სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა თუ პროგრამების ინიციირებას. ამ შემთხვევაშიც, მომავალი წლის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაში“ გაიწეროს ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართულობის საჭირო ინსტრუმენტები და მექანიზმების შექმნის გზები. საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს თანამონაწილეობითი მართვის კულტურის დამკვიდრებას, ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზა-ციებთან სტრუქტურული დიალოგის მდგრადი პლატფორმების შექმნას, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ დონეზე.

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის კარგი მაგალითები/პრაქტიკა

ლევან მიქელაძის ინსტიტუტი

მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა არაერთი პრობლემური მიმართულება პოლიტიკაში ახალგაზრდების როლის გაძლიერების კუთხით, აღსანიშნავია კარგი პრაქტიკაც. ამ თავში ვეცდებით, განვიხილოთ ის შემთხვევები, რომელთა კიდევ უფრო მეტად გაძლიერება და გამყარება დადებით შედეგს გამოიღებს ახალგაზდების გააქტიურების კუთხით.

ერთ-ერთი ასეთი კარგი პრაქტიკის მაგალითია ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, საკუთარ უფლებამოსილებათა ფარგლებში, პერმანენტულად ახორციელებს სასწავლო პროგრამებს (ინსტიტუტი, 2022) ასევე, ინსტიტუტის ორგანიზებით, თანაორგანიზებით ან მონაწილეობით ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტი თუ ღონისძიება, რომლებიც ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ ინფორმირებასა და დაინტერესებას ემსახურება.

2018-2021 წლების შუალედში ინსტიტუტის ორგანიზებით, თანაორგანიზებით თუ მონაწილეობით 30-ზე მეტი ღონისძიება გაიმართა, რომლის მთავარ სამიზნე ჯგუფს ახალგაზრდები, ძირითადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. აღნიშნული შეხვედრები, საჯარო მოხსენებები და ლექცია-სემინარები შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: დიპლომატის პროფესია, საკონსულო საქმიანობა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის როლი და ფუნქცია, დიპლომატიის ისტორია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, საქართველოს 2არაღიარების პოლიტიკა,“ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, კიბერუსაფრთხოება, კონტრტერორიზმი, მოლაპარაკების ხელოვნება და კონფლიქტის გადაჭრის გზები, კულტურული და ეკონომიკური დიპლომატია, კოვიდპანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე და სხვა.

ლ. მიქელაძის ინსტიტუტი ახორციელებს სასწავლო პროგრამას დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“, რომლის მონაწილეებიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დასაქმებული ახალგაზრდა დამწყები დიპლომატები არიან. აღნიშნული პროგრამით ინსტიტუტი დიპლომატიური კორპუსის პროფესიონალიზაციას ეწევა, რათა თანამედროვე დიპლომატიაში ძლიერ სპეციალისტთა ახალი თაობა ჩაებას.

ახალგაზრდა დიპლომატების გააქტიურებას დიპლომატიური სისტემისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა უზრუნველვყოთ თანამედროვე დიპლომატიური საზოგადოების აქტიური და პროდუქტიული წევრობა. 2021 წელს, პირველი ნაკადის პროგრამა გაიარა და წარმატებით დაასრულა 24-მა მონაწილემ; 2022 წელს პროგრამაში 15-მდე ახალი დამწყები დიპლომატი ჩაერთვება. აღნიშნული სასწავლო პროგრამები ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას, გაიღრმავონ ცოდნა საგარეო პოლიტიკაზე, განავითარონ უნარები, რაც ახალგაზრდა თაობას დაეხმარება კვალაფიციური ცოდნა მიღებაში გამოცდილი დიპლომატებისგან, მიღებული რჩევები მოახმარონ დიპლომატიურ საქმაინობას და გამოსცადონ საკუთარი თავი საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ანალიტიკური პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და, რაც მნიშვნელოვანია, გარე დაინტერესებული პირებისთვის ანალიტიკური პროდუქტის შეთავაზება ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდების ანალიტიკური უნარების განვითარებასა და დახვეწას. ანალიტიკური კრებული საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკა", რომლის პირველი გამოცემაც ინსტიტუტმა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს წარადგინა, სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ კრებულის პირველ გამოცემაში შესული ანალიტიკური სტატიების ავტორები ახალგაზრდა დიპლომატები არიან, რაც მნიშვნელოვანია ქართული დიპლომატიისთვის. აღნიშნული წამოწყება ხელს შეუწყობს პროფესიულ დისკუსიას და საგარეო პოლიტიკაში კვლევებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს გაამყარებს.

ლევან მიქელაძის ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას. აიმაღლონ ცნობიერება, გაიარონ სასწავლო კურსები და გაიღრმავონ ცოდნა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. აღნიშნული ინსტიტუტი ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართვას თანამედროვე დიპლომატიაში და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. სწორედ ამიტომ, ეს პროექტი ძალიან სასარგებლოა ახალგაზრდებისთვის.

სახელმწიფო პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი"

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკით დაინტერესებისა და მასში ჩართვის წარმატებულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ პროექტი: „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" (Georgia, Contest for the 2021 grant programme "Become a Young Ambassador of your Country" launched, 2021) პროექტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სპორტული პოპულარიზაცია ქვეყნის საზღვრებს გარეთ. სწორედ ახალგაზრდა ელჩების დახმარებით ხდება საქართველოს საგარეოპოლიტიკური ინტერესების მკაფიოდ და ღიად წარმოჩენა და გავრცელება სხვა ქვეყნებში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის 2019-2022 წლის სტრატეგიის დოკუმენტში (მთავრობა, 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019) ვკითხულობთ, რომ სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი მისწრაფებაა ევროატლანტიკური ინტეგრაცია. აღნიშნული პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის კი საჭიროა მომავალი საჯარო მოხელეების, პოლიტიკოსების, დიპლომატების ცნობიერების ამაღლება და მომზადება მოსალოდნელი გლობალური გამოწვევებისთვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ქვეყნის პოზიციისა და ინტერესების ეფექტიანად გატარება საერთაშორისო არენაზე.

უცხოელ ახალგაზრდებში საქართველოს სახელმწიფოს პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ (სამინისტრო, 2018) 2018 წლიდან მოქმედებს და საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების აქტიურად ჩართვას ემსახურება. პროგრამის მიზანია ქართველ ახალგაზრდებში საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესების გაღვივება და კომპეტენციის განვითარება, უცხოელ ახალგაზრდებში კი საქართველოს სახელმწიფოს კულტურის, ისტორიის, ხელოვნებისა და პოლიტიკური პერსპექტივების შესახებ ინფორმაციისმიწოდება (სამინისტრო, ახალგაზრდა ელჩების პროგრამა, 2019). აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს საქართველოს პოპულარიზაციას სხვა ქვეყნებში, თუმცა საინტერესოა გავაანალიზოთ პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ პოტენციალი საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში ახალგაზრდების როლის გაძლიერების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლობირებს აღნიშნულ პროგრამას და მეტნაკლებად ჩართულია მის დაგეგმვაში, პროცესს არ აქვს სტრუქტურირებული ფორმა, რაც შესაცვლელია იმისათვის, რომ პროექტი უფრო ეფექტიანი იყოს. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია ყოველ წელს ყოფილ ახალგაზრდა ელჩთა კონფერენციის ორგანიზება მათი გამოცდილებისა და რეკომენდაციების ერთმანეთთან გაზიარების მიზნით, რათა შემდეგი წლის პროგრამა გაიწეროს მეტად რაციონალურად და გააზრებულად.

მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, ქვეყნის 35 ახალგაზრდა ელჩი მსოფლიოს 35 ქვეყანაში ატარებს მანდატს, საელჩოებმა უნდა გაუწიონ პოპულარიზაცია პროექტს სხვა ქვეყნებშიც, რათა მოცემული რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს, ახალგაზრდების მხრიდან, სახელმწიფო ინსტიტუტების (ამ შემთხვევაში, დიპლომატიური წარმომადგენლების) მიმართ ნდობის ამაღლებას და, მეორე მხრივ, გააღვივებს ინტერესს ადგილსამყოფელ ქვეყნებში, ადგილობრივ სოციუმებში,რაც პროექტის ეფექტიანობას გაზრდის.

ასევე, აღნიშნული ღონისძიების წარმართვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება, მივიჩნიოთ ბიუჯეტის სიმწირე (ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად 7000 ლარი), (დიასპორა, 2021) რაც პროექტის ფარგლებში, გლობალური ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

თვალსაჩინოა პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ მნიშვნელობა ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მეტად ჩართვისთვის: პროგრამა უშუალოდ ახალგაზრდებში აღვივებს მოტივაციას, იყვნენ თავიანთი ქვეყნის ინტერესების დამცველები სხვა ქვეყნებში, საფუძველს უყრის სამომავლო საქმიან თანამშრომლობას და ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების ხაზგასმას უცხოელ ახალგაზრდებში.

პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, მხოლოდ სამი წელია, არსებობს და იმისთვის, რომ პროექტმა მომდევნო 3 წლის მანძილზე უკეთესი შედეგები მოგვცეს, ვიდრე გასულ 3 წელში, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული გამოწვევების მოგვარება სახელმ-წიფოს მხრიდან.ამ ეტაპზე კი პროექტი მნიშვნელოვანი პოტენციალის მატარებელია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის კუთხით.

საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის დამაბრკოლებელი გარემოებები

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის გარიერები და გამოწვევები

საგარეო პოლიტიკაში ახალგაზრდების დაბალი ინტეგრაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. საქართველოში ახალგაზრდა თაობა უფრო ნაკლებადაა დაინტერესებული რეგიონული და გლობალური პოლიტიკის საკითხებით, ვიდრე საშინაო საკითხებით. რაც შეეხება, ახალგაზრდობის ინტერესს პოლიტიკის მიმართ, ის უფრო ფოკუსირდება ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებზე, ვიდრე ევროკავშირისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე (ფონდი ფ. ე., თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდების კვლევა, 2016)

მიუხედავად ახალგაზრდების მზარდი დემოგრაფიული და ეკონომიკური მნიშვნელობისა, უმეტეს საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ხმა სუსტად ისმის ამიტომ საჭიროა მათი აქტიურად ჩართულობა თუნდაც საგარეო საქმეთა სამინიტროს სხვადასხვა ახალგაზრდულ პროგრამებსა და პროექტებში. ამ შესაძლებლობის უფრო მეტად გამოყენებისთვის აუცილებელია საგარეო პოლიტიკის თუ მთავრობის ახალგაზრდობის სტრატეგიის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ახალგაზრდებისთვის კონკრეტული აქტივობები, სადაც ისინი შეძლებენ პროცესებში ჩართვას.

საქართველოში ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში მეტი ჩართულობისთვის რამდენიმე გამოწვევა არსებობს. მათგან მნიშვნელოვანია:

ახალგაზრდების ნაკლებად დაინტერესება საგარეო პოლიტიკით: მნიშვნელოვანი გამოწვევაა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რადგან, საქართველოს ახალგაზრდობა უფრო ნაკლებადაა დაინტერესებული რეგიონული და გლობალური პოლიტიკის საკითხებით, ვიდრე საშინაო საკითხებით. რაც შეეხება, ახალგაზრდობის ინტერესს პოლიტიკის მიმართ, ის უფრო ფოკუსირდება ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებზე, ვიდრე ევროკავშირისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე. გამოკითხული რესპონდენტების 45% დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით (ძალიან დაინტერესებული – 14%; დაინტერესებული – 31%). რაც შეეხება ახალგაზრდობის ინტერესს პოლიტიკის მიმართ, ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებს მოჰყვება ევროკავშირის და მსოფლიო პოლიტიკა (25% და 22% შესაბამისად) (ფონდი ფ. ე., თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდების კვლევა 2016 , 2017)

გრაფიკი #3.1 – სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკის მიმართ ინტერესი



შედეგად, აშკარაა, რომ საჭიროა საგარეოპოლიტიკური პროცესებით ახალგაზრდების დაინტერესებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

განათლება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კვლევის (United Nations, 2019) მიხედვით გამოვლინდა ახალგაზრდების პასიურობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში თვითდამკვიდრების თვალსაზრისით. ამავე ანგარიშის თანახმად ყველაზე დიდ პრობლემად კვლავაც რჩება განათლება.

ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. გამოკითხულთა (74%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, მაგრამ რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებასა (60%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (63%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (სააგენტო, ახალგაზრდობის საჭიროებების,გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა, გაერთაინებული კვლევის შედეგები,, 2021) (იხ. ცხრილი79_3)

79_3. რამდენად პრობლემურია პირადად თქვენთვის ქვემოთ მოცემული საკითხები?

პროფესიულ განათლებაზე ხელმისწავდომობა

		14_17 წ.	18-25 წ.	26-29წ.	ახლ. სულ(14-29 წ.)
1	სიხშირე	394	213	75	682
	%	17.9%	12.4%	10.2%	14.7%
2	სიხშირე	204	127	53	384
	%	9.3%	7.4%	7.2%	8.3%
3	სიხშირე	400	270	112	782
	%	18.1%	15.8%	15.3%	16.8%
4	სიხშირე	304	248	115	667
	%	13.8%	14.5%	15.7%	14.3%

ცხრილი 79_3.

მართალია, საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტოლოგია, სახელმწიფო მმართველობა პოპულარული ფაკულტეტებია, რასაც ადასტურებს საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2022 წელს აღნიშნულ ფაკულტეტებზე სწავლობდა 5246 სტუდნეტი, 2021 წელს კი _ 5281. (იხ. დიაგრამა1).

აქტიური სტუდენტები	**თარიღი**					
საფეხური	**01.04.2017**	**1.04.2018**	**01.04.2019**	**01.04.2020**	**01.04.2021**	**05.05.2022**
ბაკალავრიატი	4818	4454	4796	5597	4788	4750
დოქტორანტურა	46	137	170	192	143	184
მაგისტრატურა	320	425	400	351	350	312
სულ	5184	5016	5366	6140	5281	5246

დიაგრამა 1.

თუმცა თუ განვიხილავთ სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის საშუალება რამდენად აქვთ, მივხვდებით, რომ მისი უპერსპექტივობიდან გამომდინარე, მალე შესაძლებელია მოთხოვნის მაჩვენებელი შემცირდეს და ჩანაცვლდეს მეტად პერსპექტიული ფაკულტეტებით.

სტაჟირების არაეფექტიანი პროგრამა

2005 წლიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს (მაცნე, 2020) არაანაზღაურებადი სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ. სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლა შეუძლია საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლობს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, აგრეთვე პირი, რომელმაც დაასრულა ბაკალავრიატის, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის მიზანია სტაჟიორთა მომზადება, გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება (სამინისტრო ს. ს., 2019).

მსგავსი მოლოდინი აქვთ ახალგაზრდებსაც, მაგალითად, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით განხორციელებულ „ახალგაზრდა სოციალისტების“ კვლევის მიხედვით, სტუდენტების 71% თვლის, რომ საჯარო სტრუქტურაში სტაჟირება მათ სამუშაო უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაში უნდა ეხმარებოდეს; 55% მიიჩნევს, რომ სტაჟირებას უნდა გააჩნდეს დასაქმების პერსპექტივა იმავე კომპანიაში/სტრუქტურაში (55%); სტუდენტების 44%-ის აზრით, სტაჟირება უნდა დაეხმაროს პროფესიული ცოდნის მიღებაში (44%); გამოკითხულთა 29%-მა კი აღნიშნა, რომ სტაჟირებამ ხელი უნდა შეუწყოს მათ საჭირო კავშირების განვითარებაში (სოციალისტები, 2019)

როგორც საქართველოს შრომის კოდექსი (პარლამენტი, საქართველოს შრომის კოდექსი, 2021) ვკითხულობთ ანაზღაურების გარეშე სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, რაც იმას ნიშნავს რომ ახალგაზრდები ექვსი თვის განამვლობაში ანაზღურების გარეშე მუშაობენ. მნიშვნელოვანია, რომ სტაჟირების პროგრამა იყოს ანაზღაურებადი, რათა ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას ხელი შეეწყოს და გაეზარდოთ საგარეო პოლიტიკური მიმართულებით მუშაობის გაგრძელების მოტივაცია

ამ ამოცანების რეალურად განხორციელება კი ნაკლებად ხდება. აღნიშნული დაკავშირებულია იმ პრობლემასთანაც, რომ საჯარო სამსახურში მოხელეთა დაწინაურება და გამჭვირვალე სისტემის შექნა საქართველოს წინაშე მდგარი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამასთან, საჯარო სექტორში, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროში დასაქმებულთა დიდი რაოდენობის გამო ვაკანტური თანამდებობის გაჩენის შანსი არც ისე მაღალია.

საინტერესოა რომ, საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს სტატისტიკას, წლის მანძილზე რამდენი სტუდენტი გადის სტაჟირების პროგრამას, რამდენად პოზიტიური პრაქტიკა დაინერგა დასაქმების თავსაზრისით და რამდენად ხერხდება გადამზადებული ადამიანური რესურსის პოლიტიკურ ან დიპლომატიურ საქმიანობაში გამოყენება.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა რომ, არსებული სახელმწიფო პროგრამები და აქამდე შეთავაზებული ინიციატივები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფო სტრატეგია სრულფასოვნად შესრულდეს და გაიზარდოს ახალგაზრდების საგარეოპოლიტიკური მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების გაძლიერების კუთხით, იდგმება კონკრეტული ნაბიჯები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან, თუმცა, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაში აღწერილი მიზნების იმპლემენტაციის თვალსაზრისით, შესაბამისი გეგმის არქონა და სათანადო ღონისძიებების ნაკლებობა ხელს უშლის აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებას. არსებული მოცემულობის გამო, ანგარიშგასაწევი ინტელექტუალური რესურსის მქონე თაობა მოკლებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს როგორც შიდა, ასევე საგარეო დონეზე.

სტაჟირების პროგრამასთან მიმართებით კი ვაწყდებით არაჯეროვნად დაგეგმილ პროცესს. თუ სახელმწიფო გვეუბნება, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა მისთვის პრიორიტეტია, ბუნებრივი იქნებოდა, რომ საჯარო უწყებებში ექვს თვემდე სტაჟირება გახდეს ანაზღაურებადი და გამოცდილებამიღებული ახალი თაობა ქვეყნისთვის გამოსადეგ პროცესებში ჩაერთოს.

კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ახალგაზდების დაბალი ინტერესი საგარეო პოლიტიკის მიმართ და განათლების ხელმისაწვდომობა. ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში ჩართვისა და გაძლიერების კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან იდგმება ნაბიჯები, თუმცა არსებული სახელმწიფო პროგრამები (ახალგაზრდა ელჩების პროგრამა, ლევან მიქელაძის დიპლომატიური ინსტიტუტის პროექტები) არაა საკმარისი გაიზარდოს ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობის ხარისხი, რადგან სამთავრობო სტრუქტურებსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობა საჭიროებს გაძლიერებას.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

1 საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში არსებული ჩანაწერის ეფექტიანობისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ წარმოადგინოს კონკრეტული აქტივობები და მომავალი წლის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიაში“ გაიწეროს კონკრეტული აქტივობები და ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში.

2 დაზუსტდეს მთავრობის 2030 წლის სამოქმედო გეგმის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაზე ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით. სტრატეგიულ პრიორიტეტებად ჩამოთვლილია საკითხები, რომელთა განხორციელების ვადები, გეგმები და მოსალოდნელი ეფექტი არაა გამოკვეთილი;

3 შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი სამთავრობო დონეზე, რომელშიც ახალგზრდების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან, რათა გაანალიზდეს პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე, შემუშავდეს კონკრეტული ანგარიშები და რეკომენდაციები, რამდენად ეფექტიანად ასრულებს სახელმწიფო 2018-2021 და 2030 წლების სტრატეგიებით ნაკისრ ვალდებულებებს;

4 შესაბამისი ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე, სახელმწიფომ უზრუნველყოს ფინანსური რესურსების გამოყოფა ახალგზრდული პროექტების მეტი მხარდაჭერისთვის, ასევე ახალი ინიციატივების განსახორციელებლად, ვინაიდან საკითხების მხოლოდ პოლიტიკური მხადაჭერა არაეფექტიანი და არასაკმარისია;

5 გაიზარდოს პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ ბიუჯეტი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ლიდერებში მოტივაციის ამაღლებას და იმგვარი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ქვეყნის იმიჯს მეტად შინაარსიანს გახდის. გარდა აღნიშნულისა, ბიუჯეტის გაზრდა პროექტში ჩართული ახალგაზრდების პერიოდულ გადამზადების შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო ეფექტიან ღონისძიებების გატარების მიზნით;

7 გადაიხედოს დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ სტრუქტურებში სტაჟირების პროგრამის არსებული მოდელი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაინერგოს სტატისტიკის წარმოება, თუ რამდენი სტუდენტი გადის სტაჟირების პროგრამას წლის მანძილზე და ასევე 6 თვემდე სტაჟირება გახდეს ანაზღაურებადი;

8 სპეციალური პლატფორმის შექმნა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები იმუშავებენ პოლიტიკურ დოკუმენტებსა თუ პროექტებზე და ინიციატივის სახით წარუდგენენ შესაბამის თემატურ ორგანოებს, ისინი კი თავის მხრივ გამოიყენებენ აღიშნულ დოკუმენტებს სტრატეგიის შემუშავების პროცესში;

9 საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების განათლებისა და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები, როგორც რეგიონებში, ასევე დედაქალაქში, რათა ახალგაზრდების ეკონომიკური დამოუკიდებლობა გაიზარდოს და მათ შეძლონ საგარეო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათანადოდ მონაწილეობა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ახალგაზრდების გადამზადებისა და კარიერული განვითარების პროგრამებით.

10 ინფორმაციის სიმწირის გამო ნაშრომი საჭიროებს დამატებით კვლევებს და მნიშვნელოვანია, კვლევითმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ამ თემის სრულფასოვნად და სისტემურად შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ახალგაზრდობის სააგენტო, 2020. ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3dYraV1 ბოლოს ნანახია 11.12. 2021

2.ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა 2020. გვ. 2 ხელმისაწვდომია: https://youthagency.gov.ge/eedrad-se/2021/02/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_2020.pdf ბოლოს ნანახია 20.12.2021

3.საქართველოს მთავრობა, 2014. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0 ბოლოს ნანახია 12.12.2021

4.საქართველოს მთავრობა, 2019. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019 ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/For-eignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx ბოლოს ნანახია:14.12.2021

5.სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის", 2021. ხელმისწავდომია: http://gov.ge/files/68_78941_292978_govprogramme.pdf ბოლოს ნანახია: 14.12.2021

6.საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030 წლებისთვის, 2020. ხელმისწავდომია: https://in-fo.parliament.ge/file/1/BillReviewContent/254913 ბოლო ნახვა:14.12.2021

7.საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019. ხელმისწავდომია: https://mfa.gov.ge/News/saqartve-los-sagareo-saqmeta-saministro-msoflio-(1).aspx ბოლო ნახვა 23.01.2022

8.საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019. საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა, ხელმისწავდომია: https://mfa.gov.ge/getattach-ment/a9689291-921f-47cd-b8c2-128ef8c6d2cc/saqartvelos-akhalgazrda-elchebis-programa.pdf.aspx ბოლო ნახვა: 23.12.2022

9.საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება №01-14, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების თაობაზე, 2020. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4775985?publication=0 ბოლოს ნანახია 28.01.2022

10.საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტრო, სტაჟირების კონკურსი, 2019. ხელმისაწვდომია https://mfa.gov.ge/Train-ee.aspx ბოლოს ნანახია 28.01.2022

11.საქართველოს პარლამენტი, 2020. 2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0 ბოლოს ნანახია: 12.12.2021

12.სტაჟირების საჭიროებების კვლევა, ახალგაზრდა სოციალისტები, 2019. ახალგაზრდა სოციალისტები. ხელმისაწვდომია: http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16011.pdf ბოლოს ნანახია 28.01.2022

13.ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2017. თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდების კვლევა 2016.ხელმისაწვდომია https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf ბოლოს ნანახია: 15.12.2021

14.ფრიდრიხ ებერტი ფონდი 2020. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი, გვ.: 5-8. ხელმისწავდომია: http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15958.pdf ბოლოს ნანახია 14.12.2021

15.გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია 2030, ხელმისაწვდომია https://www.un.org/sustainabledevelopment/wp-con-tent/uploads/2018/09/18-00080_UN-Youth-Strategy_Web.pdf ბოლოს ნანახია 15.12.2021

16.UNICEF 2014 ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, ხელმისაწვდომია https://www.unicef.org/georgia/-media/1131/file ბოლოს ნანახია 14.12.2021

17. UN, 2018. The UN Youth Strategy 2030 – ხელმისწავდომია: https://www.un.org/sustainabledevelopment/wp-con-tent/uploads/2018/09/18-00080_UN-Youth-Strategy_Web.pdf ბოლოს ნანახია 26.01.2022

18.Steven Feldstein. 2021 issues on the Frontlines of Technology and Politics available at: https://carnegieendow-ment.org/2021/10/19/issues-on-frontlines-of-technology-and-politics-pub-85505 ბოლოს ნანახია 03.03.2022

19.Wharton Business Daily. 2020. How Social Media Is Shaping Political Campaigns ხელმისაწვდომია: https://knowl-edge.wharton.upenn.edu/article/how-social-media-is-shaping-political-campaigns/ ბოლოს ნანახია 26.01.2022

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

პუშკინის ქ. 13, 0107 თბილისი, საქართველო
info@gip.ge www.gip.ge

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS